დანართი N1

საგრანტო პროგრამა
,,დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა''

1. საგრანტო პროგრამის აღწერა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ახორციელებს საგრანტო პროგრამას ,,დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა'' (შემდგომში - პროგრამა).

პროგრამის არსია საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამჭვირვალე კონკურსის გზით მოახდინონ საკუთარი იდეების რეალიზება, რაც დიასპორულ საქმიანობას უფრო მრავალფეროვანს გახდის, ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარების პროცესში საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების აქტიურ ჩართულობას და საქართველოსთან კავშირის გაღრმავებას.

პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გატარების პროცესში საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ჩართვა, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პოპულარიზაცია, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება სხვადასხვა ღონისძიებების, პროფესიული მასტერკლასებისა და ტრეინინგების განხორციელების გზით, მათ შორის, მოზარდ და ახალგაზრდა თაობაში საქართველოს შესახებ ცნობიერების გაზრდა, სახალხო დიპლომატიის განვითარება, ადგილსამყოფელ ქვეყნებთან კულტურული და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების ხელშეწყობა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის და ქართული წარმოების პოპულარიზაცია, აგრეთვე, პროგრამის ზემოაღნიშნული მიზნების საინფორმაციო მხარდაჭერა, პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს დიასპორული მედია საშუალებების გაძლიერება საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების მიზნით, აგრევე, საზღვარგარეთ მცხოვრებ დიასპორის წარმომადგენლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და თანამემამულეებს შორის ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით სპორტული და სხვა სახის აქტივობების განხორციელება.

პროგრამის ამოცანაა დიასპორაზე მიმართული ინიციატივების დაფინანსების მექანიზმის შექმნის გზით, ქვეყნის განვითარების პროცესში დიასპორის პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და დიასპორასა და სახელმწიფოს შორის კავშირების გაღრმავება.

3. გრანტის გაცემის პირობები და პრინციპი

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი არ უნდა იყოს მოგებაზე ორიენტირებული;

პროგრამაში განაცხადის შეტანის უფლება აქვს სულ მცირე, ბოლო 1 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ და ადგილსამყოფელ ქვეყანაში არანაკლებ შემდგომი 1 წლის მანძილზე ცხოვრების უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს პირადად ან საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესთან ერთად;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიება უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთ.

გრანტი გაიცემა თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის,

ანგარიშვალდებულების, ხარჯთეფექტურობის, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპის დაცვით.

4. გრანტის ოდენობა

საგრანტო თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარს.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ კანდიდატს გადაეცემა არაუმეტეს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

სამინისტროსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პირს შორის ფორმდება გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ ხელშეკრულება.

5. პროგრამის დაფინანსების წყარო

სამინისტროს მიერ თანხის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი 2025 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

6. კომისია და მონაწილეთა შერჩევა

პროგრამის ფარგლებში, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია.

კონკურსში კანდიდატის შერჩევა სამ საფეხურიან პროცესს გულისხმობს, სადაც **პირველი საფეხური** - განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას ითვალისწინებს. ადმინისტრაციული (ფორმალური) შემოწმებისას დგინდება განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა. ადმინისტრაციულ (ფორმალური) შემოწმებას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი, საკონსულო და დიასპორის საკითხების დირექტორატის საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სრულყოფილია და ფორმალურად აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, კონკურსანტი გადადის შერჩევის მეორე საფეხურზე.

მეორე საფეხური - კომისიის მიერ განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის ხარისხობრივ (შინაარსობრივი) შეფასებას გულისხმობს.

მესამე საფეხური - კომისიასთან გასაუბრება.

მეორე და მესამე საფეხურების ერთად შეფასება ქულობრივი სისტემით ხორციელდება.

კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად, ონლაინ ფორმატში.

7. განაცხადის წარდგენა

საგრანტო განაცხადის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის მე-3 პუნქტით (გრანტის გაცემის პირობები და პრინციპი) გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

განმცხადებლის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტებია:

- დადგენილი ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (დანართი N2);
- დეტალურად გაწერილი პროექტის ბიუჯეტი, თანდართული ხარჯთაღრიცხვის ფორმის მიხედვით (დანართი N3);
- ერთი ფოტოსურათი;
- CV ქართულ ენაზე;
- საქართველოს მოქალაქის მოქმედი პირადობის მოწმობის ან საქართველოს

მოქალაქის პასპორტის ასლი;

- პროგრამის მე-3 პუნქტის მეორე აბზაცის შესაბამისად, საზღვარგარეთ ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სასწავლო ვიზა, ცხოვრების ნებართვა, ცნობა მუშაობის უფლების შესახებ ან სხვა დოკუმენტი);
- საქართველოში მოქმედი ნებისმიერი ბანკის ანგარიშის რეკვიზიტი.

საგრანტო წინადადება უნდა მოიცავდეს:

- პროექტის აღწერილობას და განმარტებას თუ რა მეთოდებითა და საშუალებებით უზრუნველყოფს განმცხადებელი წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას;
- გრანტის ოდენობას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს განმცხადებელი წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას;
- შესრულების ვადას;
- მოსალოდნელ შედეგს.

8. გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება

პროექტის ფარგლებში, გრანტით მიღებული სახსრებით შეძენილი ქონება რჩება იმ ფიზიკური/იურიდიული პირის საკუთრებაში, ვისი სარგებლობისთვისაც იქნა ეს ქონება შეძენილი.

9. ანგარიშის წარდგენა

გრანტის მიმღები, პროექტის დასრულების შემდეგ, ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს დეტალური ფინანსური ანგარიში და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და მიღწეული შედეგების შესახებ შინაარსობრივი ანგარიში, ასევე, პროექტის განხორციელების დამადასტურებელი ფოტო/ვიდეო/აუდიო და სხვა სახის მასალა.

ფინანსური ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სასურველია წარმოდგენილ იქნას ხარჯთაღრიცხვის მუხლების, პუნქტების მიხედვით, თანამიმდევრულად (ნუმერაციით) და წერილობითი სახით.

10. კონკურსის გამოცხადების ვადები

საგრანტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 2025 წლის 23 ივლისიდან 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით (თბილისის დროით 24.00 სთ.).

- მითითებული ვადების დარღვევით გამოგზავნილი განაცხადები არ განიხილება.
- არასრული განაცხადი არ განიხილება.

საგრანტო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტების (საჭიროების შემთხვევაში - ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) მიღება, მითითებული ვადების გათვალისწინებით, ხდება მხოლოდ ელექტრონულად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - grantebi@mfa.gov.ge

2025 წლის 20 აგვისტომდე, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული შეკითხვები გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: grantebi@mfa.gov.ge

11. საგრანტო კონკურსის ორგანიზება

კონკურსის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი, საკონსულო და დიასპორის საკითხების დირექტორატის საკონსულო და დიასპორის საკითხების დეპარტამენტი.